

დამტკიცებულია
დამფუძნებელთა კრების მიერ
2003 წლის 17 ნოემბერი

რეგისტრირებულია
ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს
რაიონული სასამართლოს მიერ
2003 წლის "----" -----
დადგენილებით
რეგისტრაციის ¹ -----
მოსამართლე: -----

კავშირი

"საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი"
(რეგისტრირებული კავშირი)

წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

კავშირი "საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი", შემდგომში "კავშირი" დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე და წარმოადგენს ოჯახის ექიმთა ნებაყოფლობით გაერთიანებას.

კავშირი თავის საქმიანობას ახორციელებს აღნიშნული კოდექსის, საქართველოს მოქმედი კანონებისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

1.1 კავშირის სახელწოდებაა: კავშირი: **"საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი";**

1.2 კავშირი რეგისტრაციის მომენტიდან წარმოადგენს არასამთავრობო, არაკომერციულ იურიდიულ პირს, რომელსაც აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, განცალკევებული ქონება, საანგარიშსწორებო და სავალუტო ანგარიშები საქართველოსა და საზღვარგარეთის საბანკო დაწესებულებებში.

1.3 კავშირს შეუძლია დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, განყოფილებები, სამეურნეო ანგარიშიანი ორგანიზაციები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ კანონით დადგენილი წესით. კავშირს შეუძლია გაწევრიანება სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში (საერთაშორისოშიც).

1.3 კავშირს შეუძლია დაიცვას და წარმოადგინოს თავისი წევრების კანონიერი ინტერესები სახელმწიფო ორგანოებში, სამართალდამცავ ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

1.4 კავშირი უფლებამოსილია თავისი სახელით დადოს ხელშეკრულებები, შეიძინოს ქონებრივი, პირადი არაქონებრივი უფლებები და იკისროს მოვალეობები, იყოს მოსარჩლე, ან მოპასუხე სასამართლოში.

1.5 კავშირს აქვს ბეჭედი თავისი სახელწოდებით და ემბლემით, ყველა საჭირო რეკვიზიტები.

1.6 კავშირი პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მის განკარგულებაში არსებული ქონების ფარგლებში.

1.7 კავშირი იქმნება განუსაზღვრელი ვადით.

1.8 კავშირის ადგილსამყოფელია: **ქ. თბილისი**

მუხლი 2. კავშირის საქმიანობის მიზნები და ამოცანები

2.1 კავშირის მიზანია:

– საქართველოში საოჯახო მედიცინის მოდელზე დამყარებული პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების ხელშეწყობა.

2.2 კავშირის ამოცანებია:

– საქართველოში საოჯახო მედიცინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების: ოჯახის ექიმების, ზოგადი პრაქტიკის ექთნებისა და მენეჯერების პროფესიული საქმიანობის სტანდარტებისა და ნორმატივების შემუშავება, მათი პრაქტიკაში გამოყენების შედეგების ანალიზი და კონტროლი;

– ოჯახის ექიმების, ზოგადი პრაქტიკის ექთნებისა და მენეჯერების საქმიანობის შესწავლა და ამის საფუძველზე, მაღალი პროფესიული სტანდარტის შენარჩუნების მიზნით კონკრეტული გზების დასახვა;

- _ საოჯახო მედიცინის სფეროში მოღვაწე პროფესიონალების დიპლომამდელი და დიპლომისშემდგომი პროფესიული წვრთნის პროგრამების მომზადებაში აქტიური მონაწილეობა და მათი პრაქტიკული განხორციელების ხელშეწყობა;
- _ ოჯახის ექიმებისათვის, ზოგადი პრაქტიკის ექთნებისა და მენეჯერებისთვის უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელება;
- _ ზოგადი საექიმო პრაქტიკისათვის უახლეს მეცნიერულ ფაქტებზე დამყარებული გაიდლაინების შემუშავება და მათი პრაქტიკული დანერგვის ხელშეწყობა;
- _ ზოგადი საექიმო პრაქტიკის დარგში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დანერგვა. ამ გზით არსებული პრობლემების გამოვლენა და მათ აღმოსაფხვრელად პრაქტიკული ღონისძიებების გეგმების შემუშავება, მათი ორგანიზაცია და კოორდინაცია საქართველოს მოსახლეობის პირველადი სამედიცინო მომსახურების ეფექტურობის ამაღლების მიზნით;
- _ საოჯახო მედიცინის დარგში მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გამოცდილებისა და უახლესი მიღწევების შესწავლა და მათი დანერგვა საქართველოს სამედიცინო პრაქტიკაში;
- _ საქართველოს და უცხოეთის ქვეყნების სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა საქართველოში საოჯახო მედიცინის განვითარების მიზნით;
- _ საგამომცემლო და სარეკლამო საქმიანობის წარმართვა საქართველოს მოსახლეობისა და მედიცინის მუშაკებისათვის საოჯახო მედიცინის შესახებ სამეცნიერო-პრაქტიკული და პოპულარული ინფორმაციის მიწოდების მიზნით;
- _ საქართველოში საოჯახო მედიცინის მოდელის ფარგლებში ჯანდაცვის პროფესიონალთა პროფესიული უფლებებისა და ინტერესების დაცვა, აგრეთვე მათი პრაქტიკული საქმიანობის ხელშეწყობა.

მუხლი 3. კავშირის დამფუძნებლები

3.1 კავშირის დამფუძნებლები არიან:

1. ირინა ქაროსანიძე
2. თამარ გაბუნია
3. მარინა შიხაშვილი
4. ეკატერინე გემაზაშვილი
5. ეკა ფაღავა
6. ლუიზა შალამბერიძე
7. ნინო ყურაშვილი
8. დავით გოგოლაძე
9. ეთერი ჯაჯანიძე
10. ნათელა ჯაჯანიძე
11. მარეხი ჩერქეზიშვილი
12. დავით კუჭავა
13. ვარა ოდოშაშვილი -
14. ნატო შენგელია
15. მარიამ სუპატაშვილი
16. იამზე რუსიშვილი
17. რუსუდან ჩიტაიშვილი
18. ვაჟა დობორჯგინიძე

19. მარიამ თავართქილაძე
20. უშანგი კილაძე
21. მანანა გირკელიძე
22. რუსუდან სალუქვაძე
23. თამარ მხატვარი
24. ვასილ ბეთლემიძე
25. ნოდარ ბაქრაძე
26. თემურ მახათაძე
27. შოთა შურღაია
28. ოთარ ვასაძე
29. მაია გოგაშვილი
30. ქეთევან ლორია
31. ნინო ასათიანი
32. დიმიტრი ჯორბენაძე
33. ვახტანგ სურგულაძე
34. ნინო ჩიქოვანი
35. იამზე გამჯაშვილი
36. მანანა ოდიშარია
37. ქეთევანი ჯუღელი
38. ლია უმიკაშვილი
39. ნინო ბრაჭული
40. მარინა ბაზუაშვილი
41. რევაზ მორგოშია
42. რევაზ თათარაძე
43. მაია ჯოჯიშვილი

მუხლი 4. კავშირის წევრობა

4.1 კავშირის წევრი შეიძლება იყოს ზოგადი საექიმო პრაქტიკის დარგში მოღვაწე და/ან მისი განვითარების პროცესებში მონაწილე ნებისმიერი პროფესიონალი, რომელიც აღიარებს კავშირის წესდებებს, უშუალოდ მონაწილეობს მისი მიზნისა და ამოცანების რეალიზაციაში და რეგულარულად იხდის საწევრო გადასახადებს.

4.2 კავშირში შესვლის მსურველი პირი განცხადებით მიმართავს კავშირის გამგეობას, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას გამგეობის წევრთა ხმების უმრავლესობით. გამგეობაზე გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან განმცხადებელი ითვლება კავშირის წევრად. კავშირის წევრი იღებს გამგეობის მიერ რეგისტრირებულ მოწმობას.

4.3 კავშირის წევრს უფლება აქვს:

- მონაწილეობა მიიღოს კავშირის საქმიანობაში და არჩეული იქნას მისი ხელმძღვანელი ორგანოების შემადგენლობაში;
- ისარგებლოს კავშირის პროგრამებში მონაწილეობის პრიორიტეტული უფლებით;
- მიიღოს კავშირის მატერიალური, ორგანიზაციული და სხვა სახის დახმარება, გამოიყენოს მისი საერთაშორისო კონტაქტები და კომუნიკაციის არხები;

4.4 კავშირის წევრები მოვალენი არიან:

- მონაწილეობა მიიღონ კავშირის საქმიანობაში, გამოიჩინონ ინიციატივა, ხელი შეუწყონ კავშირის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას;
- პროპაგანდა გაუწიონ კავშირის მიზნებსა და ამოცანებს;

- გადაიხადონ შესასვლელი და ყოველწლიური საწევრო შენატანები;
- 4.5 კავშირში ამა თუ იმ პირის წევრობა წყდება შემდეგ შემთხვევებში:
 - თვით წევრის სურვილისამებრ, რის შესახებაც მან წერილობით უნდა აცნობოს კავშირის გამგეობას;
 - არასაკაპიო მიზეზით ზემოაღნიშნული მოვალეობების სისტემატური შეუსრულებლობის შემთხვევაში საერთო კრების გადაწყვეტილებით იგი ჩაითვლება საზოგადოებიდან გასულად;
 - კავშირის წევრი საერთო კრების გადაწყვეტილებით შეიძლება გაირიცხოს კავშირის წესდების უხეში დარღვევის ან იმ მიზნებისა და ამოცანების საწინააღმდეგო მოქმედებისათვის, რისთვისაც შექმნილია კავშირი;
 - გარიცხულ წევრს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება სასამართლოში.
- 4.6 კავშირის წევრები პასუხს არ აგებენ კავშირის ვალდებულებებზე, ასევე კავშირი პასუხს არ აგებს მისი წევრების ვალდებულებებისათვის.

მუხლი 5. კავშირის სტრუქტურა

5.1 კავშირის უმაღლესი ორგანოა კავშირის წევრთა საერთო კრება, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ გამგეობის მიერ. რიგგარეშე კრება მოიწვევა წევრთა 1/10 –ის ინიციატივით წერილობითი მოთხოვნით, დღის წესრიგის მითითებით.

5.2 კრების მოწვევის შესახებ ეცნობებათ კავშირის წევრებს ორი კვირით ადრე წერილობით ან კავშირის ბეჭდვით ორგანოში ინფორმაციის გამოქვეყნებით.

5.3 კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება, ან წარმოდგენილია წევრთა უმრავლესობა. გადაწყვეტილებები კრებაზე მიიღება ხმათა უმრავლესობით.

5.4 საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

- კავშირის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა;
- კავშირის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;
- კავშირის გამგეობის არჩევა;
- გამგეობის ანგარიშის მოსმენა და დამტკიცება;
- სარევიზიო კომისიის არჩევა;
- გადაწყვეტილების მიღება კავშირის ლიკვიდაციის ან რეორგანიზაციის შესახებ.

5.5 კრებებს შორის პერიოდში კავშირის აღმასრულებელი და მმართველი ორგანოა **გამგეობა**. იგი პასუხისმგებელია კავშირის საქმიანობის მართვაზე.

5.6 გამგეობის სხდომები ტარდება 3 თვეში ერთხელ მაინც. რიგგარეშე სხდომები შეიძლება ჩატარდეს თავმჯდომარის ინიციატივით ან გამგეობის წევრთა 1/3-ის წერილობითი მოთხოვნით.

5.7 გამგეობა პასუხისმგებელია კავშირის მართვაზე.

5.8 გამგეობის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა არანაკლებ 1/2-ისა. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრეთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

5.9 გამგეობის წევრებს შორის წესდების განმარტებასთან და შესრულებასთან დაკავშირებული დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ურთიერთშეთანხმება არ იქნება მიღწეული, მაშინ დავას გადაწყვეტს სასამართლო.

5.10 კავშირის გამგეობის წევრების მიერ უარი პასუხისმგებლობაზე ბათილია.

5.11 კავშირის გამგეობის წევრი არ შეიძლება იყოს ანალოგიური მიზნის კავშირის გამგეობის წევრი. თუ გამგეობის წევრს სურს იყოს ანალოგიური მიზნის მქონე კავშირის გამგეობის წევრი, ამისათვის საჭიროა კავშირის გამგეობის თანხმობა; ასეთი

თანხმობა სავალდებულო არ არის თუ პირი უკვე იყო სხვა კავშირის გამგეობის წევრი და ამ კავშირის გამგეობის წევრად არჩევამდე მისთვის არავის არ მოუთხოვია წევრობის დატოვება.

5.12 გამგეობა ირჩევს გამგეობის თავმჯდომარეს.

5.13 გამგეობის კომპეტენციას მიეკუთვნება:

- კავშირის სტრატეგიული საქმიანობის განსაზღვრა;
- საერთო კრების გადაწყვეტილებათა შესრულების უზრუნველყოფა;
- საწევრო გადასახადების წესისა და ოდენობის განსაზღვრა;
- იმ პირების ფინანსური შეწირულობების ოდენობისა და იურიდიული სტატუსის განსაზღვრა, რომლებიც გამოხატავენ ინტერესს კავშირში გაწევრიანებისა;
- ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება ყველა მიმდინარე საკითხზე, რომელიც წამოიჭრება კრებებს შორის პერიოდში და არ განეკუთვნება კრების სპეციალურ კომპეტენციას;

5.14 კავშირის გამგეობა შედგება ოცდაორი (22) წევრისაგან, ირჩევა ოთხი წლის ვადით.

5.15 კავშირის გამგეობის წევრები არიან კავშირის დამფუძნებლები (*წარმოდგენილია გამგეობის წევრების სია*)

5.16 კავშირის მიმდინარე საქმიანობას წარმართავს გამგეობის თავმჯდომარე, რომელიც წარმოადგენს კავშირს იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობაში, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საზღვარგარეთ.

5.18 კავშირის გამგეობის თავმჯდომარე:

- დებს ხელშეკრულებებს;
- გასცემს მინდობილობებს;
- აწარმოებს მოლაპარაკებებს;
- ხსნის და ხურავს ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში;
- გამგეობასთან შეთანხმებით განკარგავს კავშირის ქონებასა და სახსრებს;
- ხელს აწერს საფინანსო და სხვა სახის დოკუმენტაციას.

5.19 კავშირის სარევიზიო კომისია ახორციელებს კონტროლს კავშირის საორგანიზაციო, სამედიცინო, სამეცნიერო, ადმინისტრაციულ-სამეურნეო და საფინანსო საქმიანობაზე. სარევიზიო კომისია შესდგება კავშირის 3 წევრისაგან. კავშირის საქმიანობის რევიზია წარმოებს აუცილებლობისამებრ, მაგრამ წელიწადში არანაკლებ ერთხელ. რევიზიის შედეგები გამგეობას და რიგგარეშე შემოწმების ჩატარების ინიციატორებს ეცნობებათ წერილობით. სარევიზიო კომისიის ანგარიში წარედგინება კავშირის მორიგ საერთო კრებას.

მუხლი 6. კავშირის საკუთრება, შემოსავლის წყარო

6.1 კავშირის საკუთრებაში შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი უძრავი და მოძრავი ქონება, გარდა ბრუნვიდან ამოღებული ქონებისა.

6.2 კავშირის მიზნების მისაღწევად კავშირს შეუძლია მიიღოს დონორი ორგანიზაციების დახმარება აღჭურვილობის, ავეჯის, სალექციო მასალების, ტექნიკური თანამშრომლობისა და სხვა სახით.

6.4 კავშირის ფულადი სახსრები იქმნება საწევრო გადასახადებითა და შემოწირულობებით, კავშირის მიერ ჩატარებული ღონისძიებათა შემოსავლებით და სამეურნეო საქმიანობის შედეგად კანონიერი გზით მიღებული სხვა შემოსავლებით.

6.5 კავშირის შემოსავლები უნდა მოხმარდეს კავშირის საწესდებო მიზნების განხორციელებას და არ დაიშვება მისი წევრთა შორის განაწილება.

მუხლი 7. კავშირის საწარმოო სამეურნეო საქმიანობა

7.1 კავშირს უფლება აქვს ეწეოდეს დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას.

7.2 კავშირს უფლება აქვს დააფუძნოს საწარმოები “მეწარმეთა შესახებ” კანონის შესაბამისად, კანონით დადგენილი წესით.

7.3 კავშირის სამეურნეო წელი იწყება 1 იანვარს და მთავრდება 31 დეკემბერს, გარდა პირველი წლისა, რომელიც იწყება რეგისტრაციის მომენტიდან და მთავრდება 31 დეკემბერს.

მუხლი 8. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

8.1 კავშირის საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით.

8.2 კავშირის ლიკვიდაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- გაკოტრების ან რეგისტრაციის გაუქმებისას;
- თუ კავშირი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე;
- წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით;

8.3 ლიკვიდაცია ხორციელდება გამგეობის მიერ, მაგრამ თუ გამგეობის წევრებს შორის უთანხმოებაა ლიკვიდაციის საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ ლიკვიდაციას ახორციელებენ სასამართლოს მიერ დანიშნული ლიკვიდატორები კანონით დადგენილი წესით.

8.4 კავშირის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები, დარჩენილი ქონების მიღებაზე სასამართლოს გადაწყვეტილებით უფლებამოსილი პირები არიან:

- ანალოგიური მიზნის მქონე კავშირები;
- საქველმოქმედო ორგანიზაციები;
- სახელმწიფო.

8.5 კავშირის ლიკვიდაცია დასრულებულად, ხოლო საქმიანობა შეწყვეტილად ითვლება მარეგისტრირებული ორგანოს მიერ კავშირის სახელმწიფო რეესტრიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მომენტიდან.